ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 250
1877

ივერია

№ 250
1903

ნოემბერი 23, კვირა 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ნოემბერი 23, კვირა 1903 წ.

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დააჩქარონ ფულის შემოტანა.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 2 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

დღეს, 23 ნოემბერს, ვანქის ტაძარში,

ქნ. მარიამ ზაქარიას ასულის მელიქიშვილის

გარდაცვალების წლის თავზე, გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება $10^1/_2$ საათზედ.

აზნაური **გიორგი ზაალის ძე, ოლღა მიხეილის ასული, ზაქარია გიორგის ძე, ანნა ნიკოლოზის ასული ცალქამანიძეები** და აზნაური **ივანე მათეს ძე კანდელაკი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ თვისთა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას ქ. ახხაბადში 12 ამა ნოემბერს, პირველი—საყვარელის შვილისას, მეორე—გერისასა,—მესამე—ძმისა, მეოთხე—მაზლის და მეხუთე—დისწულისასა

ნიკოლოზ /კოლია/ გიორგის ძის ცალქამანიძისა

წირვა და პანაშვიდი იქმნება ორშაბათს, გიორგობისთვის 24-ს, ვერის სასაფლაოს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დილის $9^1/_2$ საათზედ. (1—1)

ალექსანდრე და დავით ელიზბარის ძენი, ანნა სოლომონის ასული და ბარბარე გიორგის ასული გუნდიაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველნი ძვირფასის დედისა და უკანასკნელნი დედამთილისა

ქეთევან შიოს ასულის გუნდიაშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, 23 ნოემბერს, მიცვალებულის განსვენებაზე ვაგზლის ქუჩიდან, № 57, ბორჯომის ნომრების გვერდით, მისიონერთა ეკლესიაში. მიცვალებული დაკრძალულ იქმნება კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. (2—1)

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აჰიღმ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის თებისა, ხან ახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

ჟირარდის მანუფაქტურის საწყობი

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მომავალ სეზონისათვის მიღებულია და ყოველ-დღე მოდის დიდ-ძალი რუსეთისა და საზღვარ გარეთის ნაწარმოები მაღალ-ღირსებისა და მებელების მატერიები, ფარდები, ხალიჩები, საფიანდაზო, ბაზრობა, ზონრები და სხვა.

ხელოვნური ტყავი „Pantasote“ სხვა-და სხვა ფერისა.

ლინოლეუმი იატაკზე დასაგები, პარკეტის მაგივრა. ლინოლეუმი—ხალიჩა და ფიანდაზი, კლეონკა

დონნერი და ლეიტცი.

წარმოდგენა № 22. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 23 ნოემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

და-ტმრიზა

ანუ

მონასტრის ზღუდეთა შორის

დრამა 5 მოქმედებად თარგ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელისა, ა. ნებიერიძისა, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ ჯავახიშვილისა; ბ-ნნი: გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, კ. ყიფიანი, ვ. შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: სვიმონიძის საფენეფისოდ «ოტელო».

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 23 ნოემბერს 1903 წ.

წარმოდგენილი იქმნება

ორი სპექტაკლი:

დილით, დაკლებულის ფასებით, წარმოდგენილ იქმნება

დემონი

ოპერა 3 მოქ. 5 სურ. მუსიკა რუბინშტეინისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ალმაევისა, როდიონოვისა, ლელინა, ბ-ნნი: ილიუშენკო, გლადკოვი, კლიუზნერი, სანგურსკი.

საღამოს წარმოდგენილი იქმნება **რუსლან და ლიუდმილა**, ოპერა 5 მოქმედებად და 8 სურათად, მუსიკა გლინკისა.

კაპელმეისტერი ბ-ნი ესპოზიტო.

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ორშაბათს 24 ნოემბრს თეატრში წარმოდგენა არ იქმნება.

ტფილისის კრუჟოკი

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს,

ბ-ნ წევრთა, კანდიდატთა და მათ სახლობათათვის იქმნება გამართული

კონცერტი

სახელმწიფო თეატრის საოპერო არტისტთა ქ-ნ არციბაშევისა, კარრისა და ბ-ნ დარსკისა, სელიავინისა და ამირჯანის მონაწილეობით

ადგილების ფასი 2 მან. 10 კაპეიკიდგან 2 მ. 55 კაპეიკამდე. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამოვიდა და იყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში», „გუტენბერგის“ სტამბაში და ქუთაისს მ. ლალიძესთან

ორი პუბლიცისტიური წერილი

თ-დის აკაკი წერეთლისა.

ფასი ორი შაური.

(10—7)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნაკი

კრება ანუ ბიბლიოთეკის დაარსება

სატირა-პოემა კ. მაყაშვილისა

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ქალაქში, ქუთაისში და ბათომში და სხვ.

ფასი ორი შაური.

10—4.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირდღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დ ლის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. ქარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $8^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი

❀ გუშინ, 22 ნოემბერს, მის იმპერატორებითის უმაღლესობის, ხელმწიფე მემკვიდრისა და დიდის მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის დაბადებისა და სახელწოდების დღეს, ტფილისის სამხედრო წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძარში, ყოვლად სამღვდელო ბებიამინემ, ქალაქის სამღვდელოებითურთ, წირვის შემდეგ გადიხადა სამადლობელი პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ გენერლობა, ყველა დაწესებულებათა უფროსნი მოხელენი, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, საზოგადოებათა წარმომადგენელნი და მრავალი მლოცველი.

პარაკლისი რომ გათავდა, ზარბაზნის სროლა მოჰყვა არსენალის გორიდგან. საღამოს ჩირაღდანი აანთეს.

პარაკლისი გადიხადეს ფრანგთა, სომეხთა და ლოტრანგთა ეკლესიებში, ებრაელთა სინაგოგებსა და თათართა მეჩითებში.

❀ ყოვლად სამღვდელო დიმიტრი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი, როგორც გადმოგვცეს, 28 ნოემბერს აპირობს თავის ეპარქიაში გამგზავრებას.

❀ პეტერბურგიდგან დეპეშით ცნობა მოვიდა. რომ ქვაშვეთის წმ. გიორგის დეკანოზი ესტატე ელიაშვილი მონაზონად აღკვეცილა ევთიმის სახელწოდებით.

❀ დღეს, წმ. ალექსანდრე ნეველის მოსახსენებელ დღეს, ყოვლად-სამღვდელო ბენიამინე, ეპისკოპოზი გორისა, მწირველია კუკიის წმ. ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში.

❀ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრად, დეკანოზ ესტატე ელიაშვილის ადგილს, გადმოუყვანიათ დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, მამა კალისტრატე ცინცაძე.

❀ ფოთის ქალაქის მოურავი ნ. ნიკოლაძე ამ ჟამად ტფილისშია.

❀ დღეს, 23 ნოემბერს, არტისტულ საზოგადოების დარბაზში, გამგეობა ტფილისის ბავშვთა მზრუნველ საზოგადოებისა საქმელ-მოქმედო ბაზარსა ჰმართავს-

ეს ფრიად სასარგებლო და საჭირო საზოგადოება, რომელიც 1898 წლიდგან მოქმედობს, მატერიალურად შევიწროებულია და ვერ უძლევა საწყალ და უპატრონო ბავშვების მოვლა-დაბინავებას. საწევრო ფული ძალიან ნაკლებად შეაქვთ, ქალაქისაგან დახმარება ეძლევა მხოლოდ 800 მანათი და საერო განათლების სამინისტროსაგან 360 მან.; სულ წლიური მუდმივი შემოსავალი 3,000მანათს არ აღემატება. ხარჯი-კი 10,000 მანათზე მეტია. მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვით, საჭიროა აუცილებელ ხარჯის გასასტუმრებლად 13,685 მან. 50 კაპ., ისე რომ საზოგადოებამ 11,000 მანეთი კერძო შეწირულობით უნდა შეაგროვოს.

საზოგადოება ინახავს თავის ხარჯით: ბავშვთა მუდმივ თავშესაფარს (დიდუბეში), სადაც ერთ-კლასიანი სკოლაც არის და ხელობასაც ასწავლიან; პირველ დღიურ თავშესაფარს (ვერაზე, თაიროვის სახლში); მეორე დღიურ თავშესაფარს (ანდრიას ქუჩა № 44); ერთ-კლასიან სკოლას (ავლაბარში სამინისტრო სკო-

ლისთან), სადაც მხოლოდ სადილს უკან სწარმოებს სწავლა.

თავის ყველა დაწესებულებაში საზოგადოების მზრუნველობით 230 ბავშვი ინახება და სწავლობს, მათ შორის 106 სომეხი, 78—ქართველი, 41 რუსი, 2 ბერძენი, 2 აისორი და 1 ოსი. თუმცა უპატრონო და ღარიბი ბავშვი ტფილისში გაცილებით მეტია, მაგრამ საზოგადოებას ჯერ ვერ მოუხერხებია მზრუნველობა იქონიოს.

იმედია, ხსენებულ ბაზარს მრავალი ქველ-მოქმედი დაესწრება და ყოველი გაგებული კაცი, თავის შეძლების კვალად, რაიმე დახმარებას აღმოუჩენს უბედურ ბავშვებს.

ბათუმის ქალაქის გამგეობას შეუდგენია და საბჭოსათვის წარუდგენია მომავლის 1904 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც მოსალოდნელი შემოსავალი ნაანგარიშევია 468,588 მან.

ქალაქის საყასბოს გამგე კომისიას განუზრახავს ყასბების არტელი დააწესოს და გამოუანგარიშნია, რავდენი კაცი და სჭირდებათ. საყასბოში იკვლის ყოველ დღე 240 სული საქონელი, რომელიც უნდა დაიკლას 6 საათის განმავლობაში. ერთი ყასაბი ორის თანაშემწით დაჰკლავს საათში 5 სულს საქონელს. მაშასადამე, საჭიროა ყოველ დღე 8 ყასაბი და 16 თანაშემწე. ყოველ შემთხვევისათვის, ჰფიქრობენ იყოლიონ მუდმივ 10 ყასაბი და 20 თანაშემწე. ეხლა ყასაბს ეძლევა თვეში 20—45 მანეთი. შემდეგისათვის-კი განზრახულია, 9 ყასაბს დაენიშნოს თითოს 420 მანეთი, მათ უფროსს 600 მან., 20 თანაშემწეს თითოს 300 მანეთი; სულ შესდგება წელიწადში 10,380 მან. ამას გარდა ყოველ წელს დასჭირდება სხვა-და-სხვა ხარჯისათვის 1,200 მან. კომისიის გამოანგარიშებით თითო, სულის საქონლის დაკვლა დაჯდება ერთ აბაზამდე.

რადგან ტფილისს გარეშე მყოფ რკინის გზის მოხელეებს იმდენი შეძლება არა აქვთ, რომ თავის ხარჯით იცხოვრონ ტფილისში და ახლად დაარსებულ სკოლაში იარონ სამოძრაო სამსახურის შესასწავლად, რკინის გზის სამმართველოს შუამავლობა აღუძრავს სახაზინო გზების უმთავრეს სამმართველოს წინაშე, რომ კურსებზე ჩამოსულ მოხელეებს სესხად მიეცეს 75% ჯამაგირისა და შემდეგ ყოველ თვე ჯამაგირიდგან გამოერიცხოს მხოლოდ მეექვსე ნაწილი ვალის გადახდამდე.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება ბალი ამა წლის 12 დეკემბერს კნ. ქობულაშვილის ახლად გადაკეთებულ სახლის დარბაზში (არშაკუნისეულს სახლში).

ამიერ, კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გადასწყვიტა —1904 წელს რკინის უმცროს მოსამსახურეთ სადგომები მისცეს. გამგეობამ გადასდო 70,000 მ. სახლების ასაგებად.

კავკასიის სამეურნო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მიწადმოქმედების სამინისტროს წინაშე ფულის გადადების შესახებ ტფილისის საბაღოსნო სკოლასთან ღვინის სარდაფის მოსაწყობად. განზრახულია, მოსწავლეთ ვენახის მოვლა-გაშენების გარდა ღვინის დაყენებაც ასწავლონ

19 ნოემბერს მოხდა შეერთებული კრება ტფილისის ქალაქის გამგეობისა და იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს წყლის მილის გაფართოვება და ფილტრების გამართვა. როგორც აღნიშნული გვქონდა, ფილტრების გასამართავად ქალაქმა გადასდო 50,000 მ.ნ. კრებამ განიხილა ლისიციანის პროექტი ფილტრების გამართვისა და, პროექტის თანახმად, დაადგინა, გამოიწეროს პეშოს სისტემის ფილტრები და შეუდგეს კიდეც ფილტრების გამართვას ავჭალაში.

22 დეკემბერს ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაიწყება საჯარო ვაჭრობა იმ მამულებისა, რომელთა პატრონებმაც ფული დროზე არ შეიტანეს.

სადღეისოდ

პატივსაცემო კითხველო!

თქვენმა უმორჩილესმა მონამ და ამ წერილის ავტორმა, ამას წინეთ „ივერია“-ში დაბეჭდა «ვეფხის ტყაოსნის» სამწერლო კრიტიკის თაობაზე პატარა სტატია, სადაც ნათქვამი მქონდა, ვეფხის ტყაოსანი ისეთ თხზულებად უნდა მივიღოთ, როგორც თვითონ არის და მისი გმირებიც უნდა ვცნოთ შვილებად იმ ქვეყნებისა, სადაც იგინი შობილან და დაზრდილან, ე. ი. ავთანდილ და თინათინ არაბებად, ხოლო ტარიელ და ნესტან-დარეჯან ინდოელებად, ამიტომ მათი ქართველებად მიღება და მათი ქართულად მორთვა და დახატვა უსაფუძვლოა მეთქი.

აკაკის ნიჭის თაყვანისმცემელი ვარ, მაგრამ დიად პატივსაცემ მგოსანს ვერ დავეთანხმები, ასეთი ჩემი მოქმედება ქართველობის უარყოფა და ციხის შიგნიდგან გატეხა იყოს. როგორათაც ამ წლის ნოემბრის 20 დღის „ივერიაში» ბრძანებს დამწერის მოუხსენებლად. საბუთი-კი ავთანდილის და სხვა გმირთა არა ქართველობისა ბ-ნ აკაკის ისეთი დაუკუთნებია ჩემთვის, რომ მისი გამომხრწყინვება უნდა იყოს სწორედ ნირშეცვლილი ადამიანი, რომელსაც აკაკი-კი არა, უბრალო მომაკვდავიც-კი გამოიგდებს სათუნჯოდ. მაშასადამე, „ზიჩის უსაყვედურა (ვითომ მე), ვეფხის ტყაოსნის გმირები ქართულად რად შემოსე, როცა ისინი უცხო-ქვეყნელების სახელით არიან მოხსენებულნიო, ბატონ აკაკის თხზულებაა და არა ჩემი საბუთი. მე ზიჩის კი არ ვუსაყვედურე, არამედ განსვენებულის გ. ქართველიშვილის ნახატებიანის ვეფხის ტყაოსნის გამმართველ კომისიას, რომელმაც ზიჩის ჩააგონა, თინათინ-ავთანდილის და ნესტან-დარეჯან—ტარიელის ქართულად მორთვა-დახატვა და არც ამ გმირების არა-ქართველობას ვამტკიცებდი მარტო იმით, რომ ისინი უცხო ქვეყნელების სახელით არიან მოხსენებული. არა. კიდევ ვიტყვი, ჩვენ ნება არა გვაქვს მათი ქართველებად ცნობისა, როცა ისინი თავიანთ თავს ქართველს არ უწოდებენ და არც შოთა რუსთველი გვაუწყებს მათ ქართველობას. ცხადია, სიმართლეზე რომ იყოს დაფუძნებული ბ-ნ აკაკის ოხუნჯობა, თუ სახელით როსტომ, ბეჟან და სხვანი სპარსულად მოირთონ, სახელით თეირანი გვეგონებათ, მაშინ მართალი ბრძანებაა, არა თუ სახელი, არამედ მრთლად საქართველო თეირანი გვეგონება, მაგრამ ასე როდია, ქართველი, მეტადრე ამერი, უწინ, მას გარდა, რომ სპარსულ სახელს არქმევდა თავის შვილებს, სპარსულადაც იცვამდა და აცმევდა, მაგრამ სპარსელი როდი უფიქრია, ისე როგორც ევროპიელები არა ვართ აწინდელი ქართველები, თუმცა ევროპიულად ვიცვამთ. აქ ადამიანის ვინაობა და სადაურობა არის სათვალავში ჩასაგდები და არა მისი გარეგნობა და მორთულობა. ეს ვინაობა და სადაურობა-კი გვამცნევს, რომ თინათინ იყო როსტევან არაბთა მეფის ასული და ავთანდილ არაბთა მეფისავე თუ დიდებულის ძე, როსტევანის კარზე აღზრდილი, ხოლო ნესტან-დარეჯან იყო ფარსადან ინდოთ მეფის ასული და ტარიელ—ძე ინდოთ მეფისავე სარიდანისა, რომელიც, როგორც უკვდავი «ვინმე მესხი მელექსე» ამბობს: ფარსადან მეფეს «შეეწყნარა». რუსთველს რომ თავისი ნებით დაეწერა

იყო იმერეთს როსტევან
მეფე ღვთისაგან სვიანი;
ან ფარსადანს ეთქვა სარიდანისათვის,
რადგან ეგე ჰქმენ მეფემან
ჩემებრ ქართლ-კახეთს მჯდომელმანო,

რას ემგვანებოდა? მაშინ რადა შესაბამი იქმნებოდა ხატაეთ ჩინეთი იმერეთ-ქართლ-კახეთთან, ანქართველთა და ხატაელ ჩინელთ ურთიერთობა? ნუ თუ ავტორს არ დაუმახინჯდებოდა ჩინებული სიუჟეტი დიდებულის პოემისა და არ ამოუდგებოდა გვერდით ისეთ დრამატურგებს, რომელნიც უცხო მწერლის დრამის ქარგაზე სამშობლო ქვეყნის სახელებს და გვარებს აჭრელებენ, თარგმნიან და შემდეგ ასეთ თარგმანს ხშირად თავიანთ ნაწარმოებადაც-კი ასაღებენ? არა, რუსთველი ასეთი ავტორი როდია. მისმა ზეკაცრმა ნიჭმა ასეთი საქციელი არ იკადრა და რა იპოვა

ამბავნი უცხონი
უცხოთა ხელმწიფეთანი,

გარდათქვა ზეცით მონაბერ ლექსად. თავისი გმირები დახატა ნამდვილ ადამიანებად და მათ დაუნიშნა ცხოვრების იდეალად სამამაცო და საზნეო საქმენი. აი ამ გარემოებამ შეაყვარა ქართველებს «ვეფხის ტყაოსანი» და არა იმან, რომ ავთანდილ-თინათინ და ტარიელ-ნესტან-დარეჯან ქართველები იყვნენ «ვეფხის ტყაოსნის» ქვეყნების ადგილ-მდებარეობა რო ქართული ჰქონდეს და შეიცავდეს შინაურ (ქართველ) ხელმწიფეთა შინაურ (ქართველ) ამბავს და გმირთა ხასიათება შიგ მაღალის ხელოვნებით არ იყოს განვითარებული, დღეს ისევე დავიწყებული ქმნებოდა ქართველობას, როგორც დავიწყებული აქვს არა ერთი გალექსილი უცხო თუ შინაური ამბავი, რომელიც დღეს ხელნაწერად ამშვენებს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნთ-საცავს.

კლდია.

ჩვენებური ამბები

დ. ზუგდიდი. ზუგდიდის მაზრის სამღვდელოებამ გადასწყვიტა, დააარსოს სამარხი კასსა მღვდლებისა და მედავითნეებისათვის. კასსის წევრებად სავალდებულოა იყვნენ ყველა მღვდლები, დიაკვნები და მედავითნეები მაზრისა, ხოლო საეკლესიო სკოლების მასწავლებელნი—თავის სურვილით. მღვდლის დასამარხავად თითოეულ მღვდელმა უნდა შეიტანოს სამსამი მანეთი, მედავითნემ-კი თითო მანეთი; ხოლო მედავითნესათვის მღვდლებმა და მედავითნეებმა თითო მანეთი, ასე რომ მღვდლისათვის შესდგება 540 მ., მედავითნესათვის 270 მ. ამ საქმის მოთავემ, ზუგდიდის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურემ მღვ. ტ. ჯოხთაბერიძემ უკვე წარუდგინა საეპარქიო მთავრობას განსახილველად პროექტი სამარხ კასსის წესდებისა.

X.

ს. საქობო. (სიღნაღის მაზრა). სოფელი საქობო სამს სამრევლოსაგან შესდგება. თვითოეულს სამრევლოს თავისი საკუთარი მღვდელი ჰყავს და საკუთარი ეკკლესია აქვს. ყველაზე პატარა წმ. სტეფანეს სახელობაზე აგებულის ეკკლესიის სამრევლოა. ამ სამის წლის განმავლობაში საქობოს ათასი სტიქიური უბედურება ეწვია: მოუსავლობა, სეტყვა და სხ., რაიცა თავის დროზე „ივერიის“ ფურცლებზე იყო აღნიშნული. მიუხედავად ამ ყოველგვარ შევიწროების და სიღარიბის,—თავი დავანებოთ სხვაგვარ აუტანელ ტვირთს — მცირე რიცხვმა წმ. სტეფანეს ეკკლესიის სამრევლოსამ ამ ორ წელიწადში მშვენიერი ქვითკირის ახალი ეკკლესია და მღვდლისათვის საცხოვრებელი სახლი ააშენა. ეკკლესიის კურთხევა 27-ს ამ წლის ოკდომბრისათვის იყო დანიშნული. მრავალი ხალხი შეიკრიბა ამ დღეს წმ. სტეფანეს ეკკლესიის გალავანში, სადაც ჩვეულებრივი, მამაპაპეული სადილი მზადდებოდა დამსწრეთა და სტუმართათვის. საქობოელებმა ამ დღისათვის არა დაიშურეს-რა. ეკკლესიის კურთხევამ დიდის ამბით ჩაიარა. წირვაზე გალობდა ჯუგაანის სამრევლო სკოლის შეგირდებისაგან შემდგარი გუნდი, მასწავლებელ კ. ალავერდაშვილის ლოტბარობით, და მაშნაარის სამრევლო სკოლის შეგირდები. წირვის შემდეგ ამ ეკკლესიის მღვდელმა დავით იაშვილმა, ამ კეთილის და საშვილიშვილო საქმის ინიციატორმა, აზრიანი სიტყვა წარმოსთქვა. ჯერ პირველად მადლობით მოიხსენია თავისი ერთგული, გამგონე მრევლი ასეთის თავგამოდებისა და ეკკლესიის სიყვარულისათვის. სხვანი ამისთანა მოუსავლიობასა და გაჭირვების დროს სულით დაეცემოდნენ, სასოწარკვეთილებას მიეცემოდნენ, მაგრამ თქვენ არ შეუშინდით არავითარ შევიწროებას და საქმე თქვენდა სასახელოდ და საქებურად დააგვირგვინეთო. ბოლოს სათითაოდ ჩამოთვალა და მადლობით მოიხსენია ყველა კეთილშემწირველი. კურთხევისა და წირვის შემდეგ საპატიო სტუმარნი მღვდელმა დ. იაშვილმა მიიპატიჟა, მხოლოდ დანარჩენნი ეკკლესიის გალავანში ილხენდნენ.

რუსეთი

ახალი სისხლის სამართლის სჯულდება მალე იქმნება შემოღებულიო.

— რკინის გზით ღვინის გადაზიდვის გაიაფება ვერ მოხერხდა. შეიძლება მხოლოდ უკეთ მოეწყოს საქმე ღვინის გადაზიდვისა რკინის გზების მიერ. ღვინის გადაზიდვის ფასი დაკლებულ იქმნება მხოლოდ მაშინ, როცა ღვინო გაიგზავნება სიბირსა და შორეულს აღმოსავლეთში.

— პეტერბურგის ტეხნოლოგიურმა ინსტიტუტმა სთხოვა ქალაქს შემწეობა იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც სწავლის ფული არ შეუტანიათ და რომელთა რიცხვიც ასამდე იქნებაო. ქალაქის გამგეობამ სთხოვა საბჭოს გადასდოს ამ საგნისთვის 3,500 მან.

— მოსკოვში გარდაიცვალა თანამშრომელი მოსკოვისა და პეტერბურგის ზოგიერთ გაზეთებისა, ავტორი პიესისა «პორივ» ნ. რაქმანინი. ეს პიესა ქართულადაც არის ნათარგმნი. ეწოდება «გულის თქმა».

— საშინელი დრამა მომხდარა პეტერბურგში. ერთს ლამაზს ყმაწვილს ქალს შეჰყვარებია ყმაწვილი კაცი. გასულა ხანი და გადაუწყვეტიათ ჯვარის დაწერაც. ჯვარის დაწერამდე ქალმა გააცნო თავისი საქმრო თავის მეგობარს ლამაზს ქალს. ახალ გაცნობილთ უცბად შეჰყვარებიათ ერთმანერთი. ამ სახით ორს ქალს გაგიჟებით უყვარდათ ერთი და იგივე კაცი. ხოლო კაცს შეუყვარდა ახლად გაცნობილი და მიატოვა წინანდელი, რომელიც ამის გამო დიდს ტანჯვასა და მწუხარებაში ჩავარდა სწუხდა მისი მეგობარიც, მე ვარ მიზეზი ამ საწყალის ტანჯვისაო. ბოლოს გადაუწყვეტიათ ორივეს, ყაროთ წილი და ვისაც ის კაცი ერგოს, იმან მოჰკლას მეორეო, რადგან ორივეს სიცოცხლე შეუძლებელიაო. წილში ყმა-

ფელეტონი

გამოთხოვება.

ის გიყვარდეს, ვინც რომ გიყვარს! .
შეგაბეროს ღმერთმა იმას!!
კმარა, დღემდის რაც დასცინე
ჩემს სიყვარულს და გულის თქმას!

პოეტურმა ალმა ფრენამ
საოცნებოდ გამოგხატა!..
რა ვიცოდი, რომ მე თაგვი
და შენ იყავ თურმე კატა?!.

ჩემთვის კატა და მისთვის-კი
საიდუმლო გვრიტ-ბულბული;
მისთვის თაფლი და მალამო...
ჩემთვის ნაღველ-გადასხმული.

არ ამტკიცებ!.. სად მე? სად ის?
ის ღირსია და მე არა!..
მაგრამ მაინც დაცინებამ
გულში ცეცხლად დამიარა.

და ცოცხალ-მკვდარს ცხოვრებისთვის
ეს ნატვრა-ღა დამრჩენია:
თქვენ სამოთხე ქვეყნიური
მე—ცეცხლი და გეენია!..

აკაკი.

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

XXXI

ფელეტონი

„ააჰ, ვააახ!“

X

(დასასრული *)

კინკიბაძემ მაინც „შეწევნითა ღვთისათა“ და „დახმარებითა მასწავლებლისათა“ მშვენივრად „დაასრულა“ კურსი. კურსის გათავების შემდეგ კინკიბაძის გოგრაში ყველაფერი «რიგზე» დომხალივით ეწყო; იცოდა: ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო საგნები, მაგრამ ვერცერთისთვის გარკვეული სახე ვერ მიეცა.

„სწავლა დამთავრებულმა“ კინკიბაძემ რამდენიმე ხანი სთელა ქალაქის ქუჩები; ამ ცუდაობის დროს წაიკითხა რამდენიმე სხვა-და-სხვა წიგნი. ერთის სიტყვით, რაცკი ხელში ჩაუვარდა— ზოგს ნახევრამდის ჩაიკითხავდა, ზოგს ბოლოს გაუშინჯავდა. ამ გარემოებამ კინკიბაძის აფორიაქებული ტვინი უფრო აფორიაქა—უწესრიგოდ წიგნების კითხვამ ყველაფერი აურდაურია. ბოლოს როგორც იყო, თავი სტუცა ერთს კანცელარიაში. ჯერ სამსახური არც-კი დაეწყო, რომ ქუდზე „მშვენიერი“ „კაკარდა“ გაიკეთა (ქალების ენით მოგახსენებთ) და ამ დღის შემდეგ „ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა—ქალამნად“.

თითქმის ექვსი თვე უჯამაგიროდ იმსახურა—გადასაწერ საქმეებს აწარმოებდა და ბოლოს ჯამაგირიც დაუნიშნეს. რაკი ჯამაგირს ეღირსა, ახლა იმას-ღა ნატრობდა, როგორმე ჩინზე წარედგინათ.

XI

სამსახურში დაწინაურებულებმა კინკიბაძე ძლიერ შეიყვარეს: ყველას თავაზიანად და ლაქუცით ემსახურებოდა, ამას გარდა, სუფთად სწერდა და ამ გარემოებამ ხომ უპირველესი ადგილი მოაპოვებინა უფროსის თვალში, რადგანაც თითქმის უსათვალებოდ კითხულობდა მის გადაწერილს „საქმეს“.

სამსახურის მხრივ კმაყოფილი კინკიბაძე არა ერთხელ მოიგონებდა ხოლმე თავისს წარსულს და სწუხდა, თუ-კი სამსახურში ასე ადვილად დავწინაურდებოდი, იმ წყეულს „დრობებზე“, «ფორმულებზე», „На строеніи человѣческаго тѣла“-ს შესწავლაზე იმდენი დრო რაღად დავკარგეო?—მაინც ყოველივე წარსულისა დავიწყებას მისცა და სულით და გულით შეუდგა კანცელარიის სამუშაოს.

უფროსებს გარდა, ამხანაგებსაც მოეწონათ: თვიურად აღებულს ჯამაგირს, ყოველ თვის ოცს, სამიკიტნოში მიჰფლანგავდა ხოლმე. 20 შემდეგ რამდენსამე დღეს კიდევ მხიარულებდნენ და მერე, რაკი საფანელი შემოაკლდებოდათ, ყურებს ჩამოჰყრიდნენ ხოლმე.

მაგრამ კინკიბაძე მაინც მხიარულებდა...

XII

რადგანაც ამ რომანის პირველ ნაწილში [1] ლიზას გარეგნობა აღვიწერეთ, მოდით კინკიბაძეს გულს ნუ დავწყვეტავთ და მისი გარეგნობაც აღვწეროთ.

რაოდენისამე ხნის შემდეგ კინკიბაძემ ორი კაკარდა მიიკრა; კინკიბაძის ასეთმა წარმატებამ ერთი ორადააყატყატა დედაკაცები და გასათხოვარი ქალები-კი ააქოთქოთა. მართალია, კინკიბაძე სახის სიმშვენიერით ვერ დაიტრაბახებდა, ლაზათიანის შეხედულებისა ვერ იყო, აბა, ერთი მიბრძანეთ, ქალებო, რომელს თქვენგანს მოეწონება: აყლაყუდა, სახე მოგრძო, ცხვირ-გრძელი, ძალზე დაკენკილი, ქერა-წვერა, თხელ-ულვაშა, თვალებ-დაჭყეტილი, კოწახებ აწოწილი—ლაჯებიანი, არა, განა?! მაგრამ მაინც «ბარიშნები» კუდი-კუდს დასდევდნენ.

XIII

ალბად ეს თუ იყო მიზეზი, რომ სამსახურითა და ქალებით გატაცებულმა კინკიბაძემ ოჯახს თავი მიანება; მიანება თავი დედას. მამას, მშობელ კერას და „ნახლებნიკად“ გადასახლდა ერთ ქმარ-გაშვებულ ქალთან, რომელიც (რადგან თავის თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა) ხანდისხან ხელოვნების ტაძარშიაც გაიკონტრუშებდა ხოლმე. «ავნი ენანი» მოგახსენებდნენ, ამათ ვითომ რაღაც კავშირი შეეკრათ ერთმანეთში, მაგრამ რა დასაჯერებელია. ერთი ქმარ-გაშვებული დედაკაცი და მეორე „ტვინ-აცრილი“ ჩინოვნიკი ამ ქვეყნის სალაყბო საქმეს როგორ იკადრებდნენ!..

XIV

კინკიბაძის საცოდავი, თვალ-ცრემლიანი დედა წყევლა-კრულვით იხსენიებდა იმ რისკიპს, რომელმაც უზადო ბიჭი „ჰკვაზე შეშალა“, მაგრამ დედის წყევლა-კრულვა რას გაარიგებდა?! დაოსებული დედა ბოლოს გულს იმითი-ღა იგრილებდა, რომ ერთი-ორჯელ ამოიხვნეშ-ამოიგმინივდა და თან დაატანდა:

— აახ, ვააახ! შენს დედას, ჩემო დედის ერთა ბიჭიკო და თან გაიფიქრებდა: ვინ იცის, იქნება ჩემს განათლებულს შვილს ჩემი ოჯახი, სამშობლო კერა, აღარ შეეფერებაო... ეჰ, ოღონდ იცოცხლოს და როგორც ერჩის, ისე მოიქცეს.

სახლ-კარ-მიტოვებული და გაგარევებული კინკიბაძე ბოლოს საზოგადო სარბიელზედაც გამოვიდა...

უხუფ უმუთ-ოღლი.

დემონი.

ნუ, ნუ მხიბლავ, ჩემო დემონო!
ვერ მიიზიდამ ჩემ რკინის გულსა,
ტყუილი არის შენი ფლიდობა—
ვეღარ დაგიკმევ მე შე გუნდრუკსა.
გთხოვ, ნუ მომაწვდი გესლიან მახვილს,
ნუ მარევინებ ძმის სისხლში ხელსა,
ნუ მასპობინებ ადამის ტომსა,
ვით უმნიშვნელო რაიმე მწერსა,
არ შემიძლია, ვიმსხვერპლო ვინმე,
ვით ქრისტეანსა, არა მაქვს ნება:
ერთმა მეორე შეიყვარეთო—
მას არ გვიქადის დიდ მოძღვრის მცნება!?
ხომ თვით გამოგვცა ხელთ იარაღი,
მით დაგვეთურგნა შური და მტრობა,
რომ აღგვედგინა კაცობრიობა
და ჭეშმარიტი ძმობა-ერთობა.
მაშ, რაღად კვნესის მთელი სამყარო,
ირგვლივ რათა სდგას სისხლისა ტბორე,
მითხარ, ვინ ჩანთქა ხალხთ სიყვარული
ან სათნოება, სიმართლ-სისწორე!!!
ნუ თუ, დემონო, ყოველივე ეს
შენ ჩაიდინე, შენი ბრალია!..
შენ დაავიწყე ერს ქრისტეს მცნება,
შენ აურიე ერს გზა-კვალია!!!

გ. შინატეხელი.

„შურდულის“ ნატყორცნი

როგორც მოსალოდნელი იყო, შურდულის დაბადებას თან დაჰყვა „გასუქებულთა“ ზიზღი. თქვენს უმორჩილეს მონას-კი სიხარულის ფრთები შეესხა და ოცნების გორიზონტში მორთო ფრენა.

---

[1] იხ. „შურდული“ № XXX-ი, „ივ.“ 240

[1] იხ. „შურდული“ № XXVI.

წვილი კაცი ჰრგებია წინანდელს. უშოვიათ რევოლვერი, ჩაკეტილან ოთახში და დამდგარან პირის-პირ. წინანდელს გაუტენია რევოლვერი და დაუმიზნია მეორესათვის, რომელსაც თვალი-თვალში გაუყრია თავის მეგობარ, ახლა-კი ჯალათად გადაქცეულისათვის. პირველს უცბად მოუტრიალებია რევოლვერი და თავისთვის-კი დაუმიზნია. ტყვია შიგ გულში მოჰხვედროდა საცოდავს. მივარდნია მეგობარი, მაგრამ გვიან-ღა ყოფილა. წამოუვლია რევოლვერისათვის მთრთოლვარე ხელი და უსროლია თავისთვის, მაგრამ აკანკალებულის ხელით გასროლილ ტყვიას გაუკაწრავს მხოლოდ გვერდში. რევოლვერის ხმაზედ შეუმტვრევიათ კარები მახლობლებს, შესულან და საშინელი სურათი კი დახვედრიათ: ძირს სისხლში მოთხვრილი ქალი ეგდო და ზედ მეორე გიჟივით დაჰყურებდა.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. კიდევ მოჰხდა სკანდალი უნგრეთის პარლამენტში. ნაშუადღევის სამს საათზედ ოპოზიციამ მოითხოვა, კრება გათავდესო. თავმჯდომარე პერჩელი დაეთანხმა იმ პირობით, რომ ხვალიდან დღეში ორი კრება იყოს ხოლმეო. მთავრობის დასმა შეიწყნარა ეს პირობა; რადგან წინადვე განზრახებული იყო, შეიწყნარა ისე სასწრაფოდ, რომ ოპოზიციამ ვეღარ მოასწრო პროტესტის გამოცხადება. ოპოზიციის დეპუტატები წამოდგნენ და დაუწყეს მუქარა და ლანძღვა-გინება პერჩელსა. პერჩელი იჯდა მაინც თავის ადგილას და განაგრძობდა მთავრობის მომხრე დეპუტატების ხელმძღვანელობას. თან ხელით ანიშნებდა, რა უნდა მოექმედებინათ და როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. მაშინაც არ აღელდა, როცა ოპოზიციის დეპუტატები დაემუქრნენ, ეხლავე ტყვიით განგმირავთო. როცა გამოცხადდა, კრება გათავდაო, ოპოზიციის დეპუტატები შემოეხვივნენ და ემუქრებოდნენ ცემას, მაგრამ მთავრობის მომხრეთ დაიფარეს და გაიყვანეს დარბაზიდან. ტისას უხარიან, გაიმარჯვა ძლიერის ხელის პოლიტიკამაო, მაგრამ ახლა ოპოზიციის ყველა დასნი შეერთდნენ თითქმის და ობსტრუქციას აპირობენ. აპონიის დასმაც მიანება თავი მთავრობას. თვით ლიბერალთა შორისაც ბევრნი არიან ტისას წინააღმდეგნი. პერჩელს ხომ ემუქრებიან, ხვალვე გადაგაყენებთ თავმჯდომარის ადგილიდანაო.

— მეორე სკანდალი მოჰხდა ავსტრიის რეიხსრატში. პანგერმანელმა შტეინმა ჩეხიის რადიკალს ფრესლერს დასწამა, საათი მოიპარა სერბიის კონაკიდან ალექსანდრე მეფის მოკვლის შემდეგაო. მოწმად მოიყვანა ჟურნალისტი მანდლი. შემოეხვივნენ მანდლს ჩეხიის რადიკალები და მოსთხოვეს დამტკიცება ბრალდებისა. იმან უარი სთქვა, მე ეგ არ მითქვამს. მე ვსთქვი მხოლოდ, ფრესლერმა პირველმა მოგვცა მაგალითი იმისი, რომ ყველას თითო რამ ნივთი წამოგვეღო მოსაგონრადაო. ფრესლერი, კლოფაჩი და სხვა ჩეხელი რადიკალები ეცნენ მანდლს და საშინლად სცემეს. ჟურნალისტებმა დეპუტაცია გაუგზავნეს რეიხსრატის პრეზიდენტს და დაკმაყოფილება მოსთხოვეს.

გერმანია. ბონნის უნივერსიტეტის მზრუნველმა ფონ-როტენბურგმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ახალის რექტორის დანიშვნის გამო და სხვათა შორის სთქვა: გერმანიის ეხლანდელმა იმპერატორმა სთქვა ერთხელ: მეცნიერება თავისუფალი უნდა იყოს, არ შეიძლება ინსტრუქცია აძლიო სწავლულს, აი აქა და ამნაირად უნდა ეძებო ჭეშმარიტებაო. ამ აზრს ვილჰელმ მეორესთან ერთად ყველა მოაზრე გერმანელი თანაუგრძნობს. ამიტომ საჭირო არ არის, ვიბრძოდეთ გამოკვლევის დამოუკიდებლობის და სწავლის თავისუფლებისათვის, რომელიც უნივერსიტეტების საფუძვლად და ქვაკუთხედად ითვლებაო. შემდეგ ორატორი შეეხო სამღვთო წერილის სწავლებას და სამღვდელოების როლს სკოლის საქმეში და სთქვა: დიდად ვაფასებ ქრისტეანობის ზნეობრივს გავლენას, მაგრამ თუ მეტყვიან, ამ გავლენის განსახორციელებლად, იდეალიზმის ჩასანერგად აღსაზრდელთა შორის საჭიროა ზოგნი აღიზარდნენ კათოლიკეთა ღვთის მეტყველთა ხელმძღვანელობით, ხოლო ზოგნი პროტესტანტებისაო, ამისთანებს მე ვკითხავ: განა იდეალიზმი ამა თუ იმ აღსარების დოგმატებშია? მე კი მგონია, რომ ბრძოლის მაგიერ მატერიალიზმის წინააღმდეგ, ასეთ წარმოებას სწავლა-განათლებისას შედეგად ის მოჰყვება, რომ ყმაწვილები ვერ შეჰნიშნავენ ქრისტიანობის ჭეშმარიტს შინაარსს, და მოყვასის მიმართ სიყვარულის მაგიერ, შეისისხლ-ხორცებენ მძულვარებას მეორე სარწმუნოების ყოველ სხვა კაცისადმი.

«ნუ კი განაცალკევებთ, შეაერთეთ ყველა აღსარების ბავშვები, ასწავლეთ გერმანელს ბავშვობიდანვე არ ეშინოდეს და არ ერიდებოდეს იმ მეზობელს რომელიც თავისებურად ლოცულობს, და უეჭველია უკეთეს მოქალაქეებსა და უკეთეს კაცებს აღზრდით“.

წესიერი წარმოება საერო განათლებისა,—განაგრძო ორატორმა, ახლაა უფრო საჭირო, ამ ჩვენს დროში, როცა ასეთი ბრძოლაა კლასთა შორის, როცა მედგრად შეჯავახდნენ პატრიციები და პლებეები. ამაო იქნება თვალი დავხუჭოთ და არ ვხედავდეთ იმ საშიშროებას, რომელიც მოელის ქვეყანას მით, რომ მილიონობით პროლეტარები მტრად გადაჰკიდებიან აწ არსებულ საზოგადო წესწყობილებას, მის ეკონომიურსა და პოლიტიკურს შინაარსს. ზოგი იმ აზრისაა, რომ სოციალ-დემოკრატებს პოლიციის ჯოხი უნდაო. ამ სენის წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიებანია წამალიო. ჩემის აზრით-კი რეპრესიები უგუნურებაა, პოლიციური ღონისძიებანი უფრო გააძლიერებს ბოროტებას, მოსპობით-კი ვერ მოსპობს. ამ შემთხვევაში ბისმარკს იმოწმებენ ხოლმე, მაგრამ ამაოდ. ყველაზედ ნაკლებ ის იყო მომხრე „ჯოხისა“. ეს ისეთი ძნელი და რთული საქმეა, რომ მისი გადაწყვეტა მექანიკური ძალდატანებით შეუძლებელია.

მაშ რა ვქნათ? რა ფორმულას უნდა დავადგეთ? უნდა ვავრცელოთ სწავლა-განათლება, მეტი სინათლე ვფინოთ და ბოროტ-მოქმედებას ვებრძოლოთ. სხვა ფორმულები არ არსებობს. საერო განათლება იმდენად კარგად უნდა იყოს წარმოებული, პროლეტარებს ცხადად ჰქონდეთ გათვალისწინებული, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილება ბიაროტის რამ სურვილის შედეგი-კი არ არის, არამედ ისტორიულად შემუშავებული დაწესებულებანია. ამავე დროს ხალხს უნდა მოვაშოროთ სიმწარე იმ ფიქრისა, ვითომ იგი მოკლებულია კულტურას, რომ კულტურა მისთვის არ არსებობს. ქონებით მეტმა, ინტელიგენტმა გერმანელებმა უნდა შეითვისონ ის აზრი რომ ის წესი და რიგი-კი არ არის უთუოდ კარგი, რომელიც სასარგებლოა უმცირესობისათვის და რომ ისტორიულის საჭიროების ძალით უპირატესობანი ღარიბებისა და სიმდიდრისა ჰქრება, რომ ყოველივე მოძრაობს. მხოლოდ ბრმა თუ ვერ ჰხედავს, რომ მაგ მოძრაობას შედეგად მოსდევს ამაღლება კაცის ადამიანურის ღირსებისა და მსხვრევა იმ ხარიხებისა, რომელიც აბრკოლებს ხალხს, შეძენილი ცივილიზაცია იმანაც იგემოს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

პარასკევს, 21 ნოემბერს, ქართ. დრამ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნა თ. ერნსტის კომედია „პედაგოგები“ და ვოდევილი «უბედური დებიუტი». «პედაგოგები»—კარგი, აზრიანი პიესაა.

მშვენივრად არის გამოხატული პიესაში ის „დახობებული ატმოსფერა“ სახალხო განათლების საქმეში, რომელიც, პროფ. პრელის სიტყვით, განახლებისათვის სასიცოცხლო ნაკადულს შრომის, სიყვარულისას ითხოვს. შეიძლება პიესას იმ საზოგადოებისათვის, რომლის თვისაც იგი დაწერილია, ისტორიული ინტერესი-და შერჩენია, მაგრამ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას საერთოდ და სახალხო განათლების საქმეს კერძოდ მშვენივრად ახასიათებს.

მიიხედ-მოიხედეთ და უთუოდ იპოვნით ფლაქსმანებს, რომელთაც გაიძვერაობით, უსვინდისობით ჩაუგდიათ ხელში საზოგადო საქმე და თავისს კეთილდღეობის წყაროდ-კი გაუხდიათ.

ხშირად შეხვდებით რიმანებს, ველენმაუებს, რემერებს, რომელნიც ერთხელვე შემუშავებულს გზას ადგანან, რომელთაც არა სწამთ არაფერი ახალი, სძულთ ყოველი ცოცხალი სიტყვა და ებრძვიან ყოველს მის განხორციელებას. ამისთანა ტიპებს ყველგან შეხვდებით დღევანდელ ცხოვრებაში. ყველგან გამეფებულა რუტინა—ეს დაუძინებელი მტერი წინსვლისა და განათლებისა.

ბევრი ფლემინგები, ბევრი პროფ. პრელისავით მორწმუნე, იმედებით აღტაცებული დაგვპირდება, რომ ახალმა აზრმა, ახალმა ცხოვრებამ ნელ-ნელ გზის გაკაფვით ბოლო მოუღოს რუტინის უმეცრების ბატონობას.

თვით წარმოდგენას არა უშავდა-რა.

ფლაქსმანი (გედევანოვი) კარგი იყო. მისი მიმიკა, ხმა სავსებით ჰხატავდა სულიერ მდგომარეობას კაცისას, რომელსაც ნელ-ნელა ეცლება ფეხებ ქვეშ ნიადაგი, ჰგრძნობს, რომ მარჯვედ ჩასჭიდა მას სიმართლემ ხელი და არსად გაუშვებს.

არა უშავდა-რა იმედაშვილსაც. მხოლოდ მეტი გულ-წრფელი გატაცება და მეტი თავის გამოდებით დაცვა სიმართლისა უნდა დასჩენოდა მის თამაშს, თორემ გიზა ჰქონდა მის სიტყვები: «თქვენ ისე ლაპარაკობთ მასწავლებელზედ, როგორც საყვარელ არსებაზედ», როგორღაც არ შეეფერებოდა ნამდვილს.

სრული ტიპი ანჩხლის «ნიგილისტკისა» შექმნა ედ. ჩერქეზიშვილმა ბეტტი ტურჯანის როლში. კარგი იყო აგრეთვე გ. მესხიც პროფ. პრელის როლში. დაკვირვებული თამაშობა მისი სრულ შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ სიტყვების ტექსტით დაბოლოება არ უშლიდეს. კარგი იყო ტასო აბაშიძეც.

დანარჩენებიც თავ-თავიანთ როლებს არ აფუჭებდნენ. ბევრი აცინა საზოგადოება «უბედურმა დებიუტმაც». ჩინებულად შეასრულეს ეს მხიარული ვოდევილი ა. იმედაშვილმა და ტასო აბაშიძემ. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ახალგაზდა მსახიობი ქალი თანდა-თან მეტს ნიჭს და უნარს იჩენს.

ადგ-ადგ მისი თამაშობა მის ნიჭიერ მშობლის მ. საფაროვა-აბაშიძის თამაშობას წააგავდა.

წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო.

ქ. ყი—ნი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ნოემბერი.

პარიჟი. დრეიფუსის საქმის გადაშინჯვის მომხსენებელმა განაცხადა, ვეცდები, ასე ათის დღის განმავლობაში მოვასწრო მოხსენების წარდგენაო.

ბუენოს-აირესი. აქ მოვიდა გემი „ურაგვაი“, რომელზედაც იყვნენ ნორდენშელდის ექსპედიციის წევრნი. დიდებულად დაუხვდნენ.

ბუშირი. ლორდ კერზონი 16 ნოემბერს მოვიდა კოვეიტში; კოვეიტის შეიხი სადარბაზოდ მივიდა მასთან გემ „გარდინჯზე“; მეორე დღეს კერზონმა გადაუხადა დარბაზობა; ერთხელ კიდევ იყო შეიხი კერზონთან.

ვაშინგტონი. კიდევ დაიჭირეს თეთრ სასახლეში ორი ჭკუა-შერყეული კაცი; ერთს მათგანს უპოვნეს დიდი დანა.

ბერლინი. თავისუფალი მოაზრე სახალხო დასი იმპერიის კანცლერის წინაშე შუამდგომლობს, რომ მოისპოს ცუდი მოპყრობა ჯარის-კაცთადმი.

ბორისოგლებსკი. დიდ-გრიბანოვის ამხანაგობის შაქრის ქარხანა დაიწვა.

პორტ-არტური. როგორც ჩინური გაზეთები იუწყებიან, ჩჟეცზანის პროვინციაში ქრისტეანთა წინააღმდეგი ამბოხება მომხდარა,—როგორც „ნოვი კრაი“ გადმოგვცემს, ჩინეთის მთავრობის მეცადინეობა, რომ შანჰაი-გუანას მახლობლად დაეყენებინათ ორი მანჯურელი რაზმი, 300—500 კაცისაგან შემდგარი, ვერ შესრულდა. ადგილობრივ ჯარების წრთვნა ორ თვეს განგრძელდა; განსაკუთრებითი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ნიშანში სროლას.—გენერალ მას ჯარები, რომელნიც ვითომ ავაზაკთა შესამუსრად იყვნენ გაგზავნილნი, უკან დაბრუნდნენ. გენერალს ებრძანა, ადგილიდან არ დაიძრას.

ტოკიო. პროგრესისტთა დასის კრებამ დაადგინა რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს კაბინეტის განუსაზღვრელ გარეშე საქმეთა პოლიტიკას და გამოთქმულია ის აზრი, რომ მშვიდობიანობა დამყარდეს აზიის აღმოსავლეთზე, საჭიროა რუსეთმა დასცალოს მანჯურია და უმთავრესი ნავთსადგურები გაიხსნას. იაპონიაში ვრცელდება სურვილი, რომ რუსეთს ულტიმატუმი წარუდგინონ, მაგრამ იაპონიის მთავრობა მშვიდობიანს გზას ადგია და იმედი აქვს მშვიდობიანობის შეურყევლობისა.

21 ნოემბერი

სოფია. (ოფიც. მინისტრეს წრეებიდან). საერო კრებამ მიიღო შინაგან საქმეთა წინადადება, გადაიდოს 500,000 ფრანკი მაკედონელ ლტოლვილთა შესაწევრად. მინისტრმა განაცხადა, კაბინეტმა ყოველივე იღონა, რომ შეუმსუბუქოს ლტოლვილთ სამშობლოში დაბრუნება; რადგანაც მათი უშიშროების გარანტია არ არის, ამიტომ მათი დაბრუნება ეხლა შეუძლებელიაო.

ბუშირი. კერზონი 19 ნოემბერს მოვიდა და მიიღო დეპუტაცია ინგლისის ქვეშევრდომთა და სხვათა, ვინც-კი ცხოვრობს ბუშირში, რომელთაც ადრესი მიართვეს. საპასუხო სიტყვაში კერზონმა აღნიშნა ის უპირატესობანი, რომელიც უკავია ბუშირში ინგლის-ინდოეთის ვაჭ-

---

დავფრენ ჰაერში და სამშობლო მხარეს დავქათქათებ. მწადს, რომ ერთის ფრთის შემოკვრით „ავგავო პირისაგან დედამიწისა“, რაც რამ ბოროტებაა.

ოჰ, ბოროტებავ... ძალმომრეობავ!.. ამ ორ სენს როგორ გაუდგავს ფესვები, მაგრად და მჭიდროდ, ღვთისმშობლის წილ ხვედრ ივერიაში?!. რა უძლურია ერი, რომ ერთი ფრთის დაკვრით, საერთო ძალით ვერ ამსხვრევს ამ ტანჯვის ბორკილებს!..

სამშობლოს ციდან ვხედავ თვით წვრილმან, უჩინარ მტრებს ჩემი სამშობლოსასა. ვხედავ, რომ ჩემი ძმა ლალატობს ცხოვრებისგან გარიყულს მოძმეს და ბრჭყვრიალა ვერცხლის გულისათვის, ვითა იუდა, ამბორს უყოფს მას.

ვხედავ „ჯვარედინ გზაზე„ მრავლად გაბმულს ობობას ქსელს და შიგ გაბმულს ბუზებს. ვხედავ ვითა სარკეში, იმ ქსელში გაბმულს ჩემთვის ძვირფას სამშობლო მხარეს; ვხედავ, რომ იგი სადათას ძილიდამ ერკვევა, იღვიძებს, იმუშნება. ვხედავ ბევრ რამეს და მსურს „გასუქებულთა“ (მხოლოდ ამათი) ტალახში ჩაფლვა, ლუმპეში ამოხრჩობა, მაგრამ... ძალა! ღონე?.. სად არის საერთო ძალ-ღონე?!. განა „შურდულის ნატყორცნი“ გასუქებულთა და მათთა დამქაშთა „მხეცობას“ დალეწ-დაამსხვრევს?—არა! იგრძნობენ მხოლოდ „ზიზღს“ და... მეც სამშობლოს ცაზედ ვერ დავემალვი ურიცხვ „იუდათა„ გუნდს. არა, ვერ ვინ შემაშინებს...

ბრძოლაში შევქნილ-ვშობილვარ,
აღვზრდილვარ მუდამ ბრძოლითა,
და ჩემი შეცვლა ვის ძალუძს
ტყვეთ „გალიაში“ ყოლითა?!.

რებუსი.

რა მალონებს?..

(ვუძღვნი ს. რემონიძეს)

რა მალონებს? ის, რომ მოძმე,
ჩემი გულის თანამგრძნობი,
ძლიერს მონად გაუხდია,
წასჯდომია თავს ღვთის მგმობი!..

—

რა მალონებს? ის, რომ ვხედავ
ჩაგრულ მოძმეს გასაჭირში
და მის მჩაგვრელს, გულ-ბოროტსა
განცხრომა და სიხარულში!..

—

რა მალონებს? ის, რომ მესის
ჩაგრულთა კვნესა-ტირილი
და მჩაგვრელების გულ-გრილი
ხან სიმღერა, ხან სიცილი!..

—

ის მალონებს, რომ სიმართლე
უსამართლობას, ვით ქია,
დაუჩაგრავს და კიდეცა
ფეხქვეშ გამოუჭეჭყაა!..

გერმანე სკვირდიმისპირელი

—

ოზურგეთი. შეიცვალა, ალაპარაკდა, ამოძრავდა ოზურგეთი!?. ყველა რკინის გზაზე ლაპარაკობს: ქალი, კაცი, დიდი პატარა, ყველა ხარობს, რაღაც სიამოვნებას ჰგრძნობს!.. ყოვლის მხრიდან გესმის: „ახალი ამბავი გაიგე? „რკინის გზა მოდის!?. უჰ! რა მიხარიან?!. ბარიშნები, დამა-კავალრები ეხლავ შეუდგნენ სამზადისს „ვოგზალზე გასასეირნებლად!?.. ვაჭრებმა ულვაშებში ჩაიცინეს, დავთრები გადაჩხრიკეს, მოელიან მეტ ვაჭრობას, მეტ მოსაგებს!?.

მაგრამ არის ოზურგეთში ერთი „კუნჭული“, აქ-კი არ ხარობენ, სწყინთ კიდეც!.. რატომაო, გაიკვირვებთ, რად უნდა სწყინდეთ ქვეყნის სასარგებლო საქმე!? ამით ხომ ოზურგეთს წარმოება მოელის, წინ სვლა, აღორძინებაო!?...

იმიტომ სწყინთ, რომ პირადის ინტერესების გულისთვის ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიათ! ახსოვთ მხოლოდ თავისი კუჭი და მისი მრწამსი.

აი ამ „კუნჭულში“ მეხივით ჩავარდა ეს ხმა: „ნიკო მოვიდა, ამხანაგობის! წარმომადგენელი მოიყვანა, რკინის გზა მოჰყავსო“! შეინძრნენ „შეკუნჭულები“, აქეთ ეცნენ იქით ეცნენ! დაიწყეს ყვირილი: არ გაბრიყვდეთ, ხელი არავინ მოაწეროთ პირობის ქაღალდს, გვატყუებენ, ვიღუპებით, არ გვინდა რკინის გზა!? დაგვაღარიბებს!..

ვინ უჯერებს? სრულიად არავინ. სირცხვილი «მეკუნჭულეებს»!

პეკუ

ნარევ-ნაკვეს-გასართობი.

№...ის აღსარება

(კალმის ხუმრობანი)

მე ის ვაჭარი ნურვის ვგონივარ,
ხალხს რომ აძრობდა მხოლოთ ერთს ტყავსა!..
ფერი ვიცვალე!.. როგორ გავბედავ,
რომ ტყავთან ერთად... არ ვგლეჯდე თავსა?
წინად ვაჭრებსა შნო სულ არ ჰგონდათ,
საერთო საქმეს არ უგდებდნენ ყურს,
მე კი იმდენსა ვშრომობ, ვმუშაობ,
რამდენიც ამ ჩემს... სქელ ჯიბესა სურს.
გულკეთილობა, კაცთ სიბრალული
მე არასოდეს არა მკლებია
და ყოველ მშიერ-დავრდომილისთვის
არ მშურებია... ნარჩომ-ძვლებია.
ვხედავ, რომ ვინმე ძირსა ვარდება,
ვისწრაფი, ფეხზე წამოვაყენო;
ფარვანასავით თავსა ვევლები,
რომ... ჩემი ჯიბე უფრო გავტენო.
ხალხიც პატივს მცემს, დაბრმავებული,
გავარდნილი მაქვს კარგი სახელი
და მიტომ მუდამ სულ იმას ვცდილობ...
ცარიელ ჯამში არ ჩავყო ხელი.

ნაჭერწკალი.

—

გოლოვინის პროსპექტზე გაატარეს ერთხელ ვიღაც მიცვალებული ქართველი თავადიშვილის გვამი; თან დიდძალი ხალხი მისდევდა; პატარა ხანს უკან იქვე გამოატარეს მდიდარი სომხის ცხედარი. მიუბრუნდა ხალხს ერთი კაცი და უთხრა:

— მოსე ოსიფიჩ! გარწმუნებ, იმ თავადს ამ სომხის ვალი ემართებოდა და აქ რომ ვერ გამოურთმევია, საიქიოს დასდევნებიაო.

არონა

—

დეპეშა

(შურდულის“ დეპეშათა საგენტო.)

15 ნოემბერი.

ჭიათურა. როგორც იქან, ველირსეთ სისუფთავეს. ადგილობრივი ადმინისტრაცია, შავი ქვის საბჭოსთან შეთანხმებით, შეუდგა ქუჩების ტალახით მოკირწყვლას, რომელიც იჯარით ღორებს გადასცეს.

ყვირილა. ვაჭრები უსაქმობის გამო თითქოს ყოველ დღე კრივს ჰმართავენ. გუშინ ოთხი ვაჭარი, ახალ ბაზრის დამაარსებლები, გამოუდგნენ ერთს ქალს, მაგრამ ქალმა ყველას უპანღურა, ერთს ხომ ცხვირი ისე გაუხადა, რომ ზურნის ბოლოს დაუმგვანა. აფერუმ, დოქს-უსუნე ვაჭრებო!

კიღლე. ყმაწვილმა ქალებმა განიზრახეს ბიბლიოთეკის დაარსება. ფასიანი წვეულებაც გაიმართა ამ საქმის სასარგებლოდ. რა იქნა?!

ავლევი. ხუთი წელია, რაც მაჭარი აღარ გვიგემნია. სეტყვამ და ფილოქსერამ ვენახები გაანადგურა. აქაური ინტელიგენცია ყურს არ იბერტყს. უგუნურობის გამო მიჰყვეს ხელი ხრაკიან არაყის ყლაპვას.

იქიდანვე. აგვისტოს ოცს გაგვიმწესეს მომრიგებელი შუაკაცი, მაგრამ დღესაც არსადა სჩანს! იქნება იცოდეთ მისი ბინა, გვიშველეთ რამე!

—

განცხადება

ხონის სასანიტარო კომისია უმორჩილესად სთხოვს მსურველთ, იყიდონ მისგან ნიადაგის გასანოყიერებლად ნაკელი, რომლის შეკრება შეიძლება ხონის ყველა ქუჩებზედ, განსაკუთრებით ხონის ბაზარში. მსურველთ შეუძლიანთ შემდეგის ადრესით მიჰმართონ სანიტარებს: დ. ხონი თავმჯდომარეს სანიტარულ კომისიისას.

(10—6.—1)

კანტი.

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე.

რობას, და განაცხადა, სპარსეთის მართებლობამ ძალიან კარგი ჰქმნა, რომ ბუშირს მიმავალი გზები გააუმჯობესა, როგორც ზღვიდან, ისე ხმელეთიდან, და ამისათვის ხარჯს არ დაერიდაო.

ბერლინი. გაიხსნა რეიხსტაგი. იმპერიის კანცლერის მიერ წაკითხულ სეფე სიტყვაში ნათქვამია, რომ საჭიროა კიდევ სესხის აღებაო. ზოგიერთ სახელმწიფოებთან დაწყობილია მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულობათა შესახებო. გერმანიას ყველა გარეშე სახელმწიფოებთან მეგობრული განწყობილება აქვს. მართებლობა ხელს უწყობდა სახელმწიფოებს მაკედონიაში მშვიდობისა და წესწყობილების დამყარებაში. იმპერატორს შემთხვევა ჰქონდა პირადად დაემტკიცებინა თავისი შეხედულობა მოკავშირეთათვის რომში, ვენაში და რუსეთის იმპერიის მეგობარ მბრძანებელისათვის. ამასთანავე კვლავ განმტკიცდა სურვილი და იმედი, რომ დაცულ იქმნება მშვიდობიანობა— ეს უმაღლესი წინდი ხალხთა კეთილდღეობისა.

ტუნისი. რეზიდენტმა პიშონმა მიიღო ადმირალი ვირენიუსი და უფროსი ოფიცრები რუსეთის ესკადრისა, რომელიც ბიზერტშია. დღეს პიშონი იმათ პატივის საცემლად საუზმეს მართამს.—მომავალ თვის ნახევარს რუსეთის ესკადრა გაემგზავრება შორეულ აღმოსავლეთისკენ.

რომი. რუსეთის ელჩმა ნელიდოვმა გადასცა დღეს მეფეს გრამოტები.

სეული. იმპერატორმა აუდიენციის დროს უთხრა იაპონიის ელჩს, რომ რამდენიმე დღის შემდეგ იოგამპო გახსნილ იქმნება საერთაშორისო ვაჭრობისათვის.

სანტ-იაგო. (ჩილი) ინგლისმა იყიდა სამხედრო გემები ,,კონსტიტუსიონი“: და ,,ლიშერტადი“.

23 ნოემბერი

პეტერბურგი. 21 ნოემბერს ხელმწიფე, იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული დაბრუნდა გატჩინოში.

ვარშავა, მათ უდიდებულესობათ პეტერბურგ-ვარშავის რკინის გზით ვარშავზე გამოიარეს.

ეკატერინოსლავი. ბეჭვდითი სიტყვის და ბეჭვდით საქმეთა შემწეობის საზოგადოებამ მოქმედება დაიწყო.

კიევი. გამოვიდა პირველი ნომერი ახალის ყოველდღიურის გაზეთის ,,კიევსკიე ოტკლიკი“-სა.

რიგა. 170 სტუდენტი პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტისა მოვიდნენ რიგის ფაბრიკათა დასათვალიერებლად.

სტამბოლი. არჩევნები მაკედონიის ვილაიეტების ორის სამოქალაქო აგენტებისა ამ დღეებში მოხდება და მოხსენდება პორტას.

ბერლინი. რეისტაგის პრეზიდენტად არჩეულ იქმნა გრაფი ბალლესტრემი; პირველ ვიცე-პრეზიდენტად—გრაფი შტოლბერგი.

მადრიდი. მინისტრ-პრეზიდენტმა ვილავერდემ ჩააბარა მეფეს სამინისტროს სამსახურიდამ გადადგომის ქაღალდი მიართვა.

ბერლინი. მეორე ვიცე-პრეზიდენტად რეიხსტაგისა აირჩიეს პააშე.

სოფია. პეტროვმა განაცხადა, ბულგარეთი ცდილობს და შემდეგშიაც ეცდება მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიანად იცხოვროს განსაკუთრებით კი გარმათავისუფლებელ რუსეთთან.

სოფია. (ოპოზიციის წრეებიდამ). საერო კრებაზე ილაპარაკა მინისტრ-პრეზიდენტმა პეტროვმა· მან განაცხადა, რომ დანევის კაბინეტის დაცემა აუცილებელი იყოვო, რადგანაც იმ კაბინეტმა არ იცოდა იმ საქმეთა მდგომარეობა, რომელთა გადაწყვეტა საჭირო იყოვო; ის ბულგარეთს სრულიად უსაძღროდ დასტოვებდა და სამშობლოს დაცვას საფთხეში ჩააგდებდაო. მთავარი კარგათ მოიქცა, რომ კაბინეტი შესცვალა და ქვეყანას მიმართა, თავისი აზრი არჩევნებით გამოეთქვა. დანევი მაკედონელებს აღელვებდა. პეტროვს უპასუხა შინაგან საქმეთა მინისტრმა პეტკოვმა, და სთქვა, რომ,კონსტიტუციის თანხმად, მთავარს შეუძლიან კაბინეტის გამოცვლა. დანევმა არ იცის თვისის დაცემის მიზეზი, მაგრამ არც პეტროვმა იცის, თუ რამ მოიწვიეს მისი დასი მმართველად. არჩევნები კანონიერად მოხდა. კაბინეტი იმ პოლიტიკას ადგა, რომელიც კი ეთანხმება ქვეყნის ინტერესების დაცვას. მთავრობამ მაშინვე გაგზავნა სტამბოლში თვისი წარმომადგენელი, რომ პორტას ძალა დაატანოს, რათა მაკედონელთა მდგომარეობა გააუმჯობესონ. გვსურდა რა ომის თავიდამ აცილება, ჩვენ გულ ხელდაკრეფილნი არ

ვისხედით, არამედ ვემზადებოდით: დავაფუძნეთ ახალი დიპლომატიური სააგენტოები ლონდონსა და რომში; სერბიასთან კავშირის შეკვრა, როგორც დანევი გვირჩევს, შესაძლებელი არ არის, რადგანაც ოსმალეთს ეჭვში შეიყვანს. კაბინეტის ენერგიულმა პოლიტიკამ აიძულა სახელმწიფონი, იზრუნონ, რომ ჩქარა და საფუძვლით განახორციელდეს რეფორმები.

ოდესა. დღეს აკურთხეს სავაჭრო სასწავლებლის სახლი. ადგილი ქალაქმა უსასყიდლოდ დაუთმო, ამას გარდა ქალაქი წლიურ შემწეობასაც აძლევს.

პეტერბურგი. «ცერკოვნი ვედომოსტში» დაბეჭდილია, რომ უწმიდესმა სინოდმა 7— 12 ნოემბერს ნება დართო, მოგროვდეს შეწირულობანი სასარგებლოდ ტანჯულ მაკედონელ სლავიანთათვის ყველა ეკკლესიებში, მიანდო ეპარქიალურ მთავრობათა შეწირულებათა შესაკრებად დანიშნონ ერთი კვირა დღე და მოახდინონ განკარგულება. მღვდლებმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვან და აუხსნან ხალხს მნიშვნელობა ამ შეწირულებათა.

პეტერბურგის ბირჟა 20 ნოემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	9380
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	37,65
ბირჟის დისკონტი.	5—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	99$_2$/^{1} გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95$^1/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	457$^3/_4$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	336 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . . .	292$^3/_4$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4$^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ· ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	92$^1/_2$
6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	— მყიდ.
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს— ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ოლგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი $1^1/_2$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე.

გარდასახადი:

1 კლასით	15 მან.
2 „	10 „
3 „	5 „

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80 კ.
2 „	4 „ 80 „

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის სადგომში ამა ნოემბრის 24-ს, ნაშუადღევის 1 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა გასაცემად ოთხის დუქნისა საბაზრო ქუჩის ბოლოს, ალექსანდრეს ბაღის შესავალში, ოთხ-კუთხად შეჭრილ ადგილზე. ვისაც ვაჭრობა უნდა, შეუძლიან განიხილოს პირობები გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღეს, კვირაუქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე. ვისაც ვაჭრობა სურს, უნდა წარადგინოს ვაჭრობამდე 70 მანათი.

(3—6—3)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ხან-ჩოკრაკისა და ჯემეთი

განთქმული ზვრებიდგან ქალაქ ანაპის ახლო (ყუბანის ოლქი, შავი-ზღვის პირათ) ისყიდება ევროპიული ჯიშის ვაზის რქა:

რისლინგისა (rieisling), რომელიც იძლევა მსოფლიოთ განთქმულს თეთრს ღვინოს იაგანისბერგს,

კაბერნესი (Cabernet), რომელიც არა ნაკლებ განთქმულს წითელ ღვინოს დაფიტს იძლევა.

ამ ვაზებს არ ავნებს როთვილი, ყინვას კარგად იტანენ დაუმარხავათ ყველგან, უხვათ მოსავალს იძლევიან ურწყავ ადგილებში და ობი (Mildiu) და ნაცარი (oidium) ნაკლებათ ვნებს, ვინემ საქართველოს ჯიშის ვაზებს, თუნდა საფერავს, როგორც დაკვირვებიდგან ვხედავ ზემოხსენებულ ვენახებში.

მეტადრე ვურჩევ ქართლ-კახელ მევენახეებს.

ფასი:

ათასი რქა	. .	4 მან.
ათი ათასი	. .	35 მან.
ასი ათასი	. .	300 მან.

შეიძლება მეტის დაკვეთაც ამ ფასების დაგვარათ პირველ დეკემბრამდე. ვგზავნი პირველ მარტიდგან გაგზავნის ხარჯი მყიდველისაა. ბეი ერთი მესამედი. ადრესი აეს: **Анапа (Кубанск. области) Контора садовъ Ханъ-Чокрака и Джемети, Ю. Л. Пиленко**.

უფროსი მევენახე „ხან-ჩოკრაკისა“ და „ჯემეთის“ ზვრებისა ვასილ ბიბილაშვილი.

(10—6—8)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და ითო ცალი ღირს ერთი მან.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომოურისა ფასი 5 კაპ.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის კარის ვაჭარნი

ჩ ა ი

ამხანაგობა ჩაის ვაჭრობისა

ვ. ვისოცკი და კო.

მ ო ს კ ო ვ ს.

ტფილისის განყოფილება

მეიდანი, რკინეულობის ბაზარი, ტელეფონი № 432.

მირის თანხა **6,000,000** მანეთი.

წლიური აღებ-მიცემობა **20,000,000** მანეთზედ მეტი.

Торговый знакъ утвержденъ Правительствомъ

ჩაის მაღალის თვისების წყალობით და მეტადრე ძლიერის სურნელებისა, ნაზის გემოვნებისა და მუქის ფერის გამო, ჩვენმა ფირმამ დაიჭირა პირველი ადგილი ევროპაში წვრილად გაყიდულ ჩაის რაოდენობით.

ჩვენს ქარხნებში, რომელიც მოსკოვსა და ოდესაშია, საცა იწონება ჩაი და იხვევა პარკებად, მუშაობს 1,500 კაცზედ მეტი.

ჩვენი ჩაი იყიდება რუსეთის იმპერიისა და საზღვარ-გარეთის ყველა საუკეთესო მაღაზიაში.

ჩვენის ფირმის ჩაის ყიდვის დროს ვთხოვთ ბ-ნთ მეიდველთ მიაქციონ ყურადღება სწორედ ჩვენი სავაჭრო მარკა—**ხომალდია**, —მთავრობისაგან დამტკიცებული, ზედ დახატული, თუ არა და მოითხოვონ **ჩაი ვისოცკისა ხომალდით.**

გამგეობა ამხანაგობისა მოსკოვშია.

განყოფილებანი:

ოდესას, ვარშავას, როსტოვს-დონ., ეკატერინბურგს, ხარკოვს, ტფილისს, რიგას, ვილნოს და სიმფეროპოლში. აგრედვე ნიჟეგოროდისა და ირბიტის ბაზრობაზედ.

ადრესი ამხანაგობისა მოსკოვსა და განყოფილებათათვის: „**Товарищество чайной торговли В. Высоцкій и К-°**“.

დეპეშებისათვის: „**Корабликъ**“.

ჩაი მთავრობის ბანდეროლით

მის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის კარის ვაჭარნი. საქონელი იგზავნება სპარსეთის ტრანზიტით და ბაჟს უკანვე გვიბრუნებენ.

(20—4)

ს ა წ ყ ო ბ ი ქ ა ღ ა ლ დ ი ს

მოსკოვი 1882 წ. **დიტიატკოვის ამხანაგობა** ნოვოგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტ ფ ი ლ ი ს შ ი.

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ· Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—30)

Дозволено цензурою Тифлисъ 22 ноября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи

დროებით რედაქტორი **გ. ყიფშიძე**, გამომცემელი **ა. ხარაჯიშვილი**.